



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება №95



2016 წელი 3 ოქტომბერი

ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურის № 6 საბავშვი ბაღის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალების (სამშენებლი „ბლოკი“ და „სინკარი“) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2015 წლის 7 დეკემბრის №126 განკარგულებით დამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა. ნუსხის დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს სამშენებლო მასალების პრივატიზება. გამომდინარე აქედან საჭიროა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნას „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და “მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის ერთ ფურცლად).
2. პრივატიზაციის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს ინდივიდუალური აუდიტორი ლია ცუცქერიძის №62/05 (18.08.2016) აუდიტორული დასკვნით.
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურის № 6 საბავშვი ბაღის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალების (სამშენებლი „ბლოკი“ და „სინკარი“) პრივატიზაციის გეგმა

---

1. დასახელება: ხაშურის № 6 საბავშვი ბაღის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალები (სამშენებლი „ბლოკი“ 3000 ცალი და „სინკარი“ 20 ცალი)

მდებარეობა: ხაშური, თერვდორე მღვდლის ქუჩა № 51

საწყისი საპრივატიზებო საფასური: სამშენებლი „ბლოკი“ 1200 (ათასორასი) ლარი და „სინკარი“ 800 (რვაასი) ლარი.

აუქციონის ფორმა: უპირობო ელექტრონული აუქციონი.

აუქციონის შემდგომ საფასურის გადახდის პერიოდი: 15 კალენდარული დღე.

შენიშვნა: გამარჯვებულმა მეორადი სამშენებლო მასალის გატანა უნდა უზრუნველყოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.